გამარჯობათ, მე ვარ მარიამ ვასაძე თოთხმეტი წლის. მყავს ხუთი და და ოთხი ძმა, სულ ვართ ათი დედმამიშვილი. მეათე სამი კვირის წინ შეგვეძინა.

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ მრავალშვილიან ოჯახში. ჩემი მშობლები ყოველთვის ცდილობენ ნორმალური ცხოვრება გვქონდეს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

ჩემს ოცნებაზე შეიძლება გაგეცინოთ. მე ჩემს და-ძმებში უფროსი ვარ და ვთვლი რომ მობილურების და პლანშეტების ნაცვლად სჯობს ის ვითხოვოთ, რაც ყველაზე მეტად შეგვიქმნის კომფორტს. საწოლნახევრიანზე ვწევართ სამი ადამიანი. ოცნებად მაქვს დავწვე უფრო რბილ და დიდ საწოლზე.